სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ოცდაათ ნოემბერს, მე, ნოტარიუსს დავით მეფარიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N110-ში, მომმართა ავთანდილ ნიქაცაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს შპს გაზ ჯორჯია ჰოლდინგს (ს/კ 406226579). მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ავთანდილ ნიქაცაძემ (დაბ. 22.03.1978წ, პ/ნ №01022000216, მცხ. საქართველო, ქალაქი თბილისი, ზღვისუბნის დასახლება, XI მიკრო/რაიონი, III კვარტალი, კორპუსი 53, ბინა 42) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც ხმამაღლა წავუკითხე მას და განვუმარტე მინდობილობის შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან წაიკითხა მინდობილობის ტექსტი და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი.

მინდობილობა

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ოცდაათ ნოემბერს მე, ავთანდილ ნიქაცაძემ (დაბ. 22.03.1978წ, პ/ნ №01022000216, მცხ. საქართველო, ქალაქი თბილისი, ზღვისუბნის დასახლება, XI მიკრო/რაიონი, III კვარტალი, კორპუსი 53, ბინა 42), როგორც შპს "სუპერგაზი"-ს (404971045) დირექტორი შემდეგში „მარწმუნებელი“, ამ მინდობილობით შპს გაზ ჯორჯია ჰოლდინგს (ს/კ 406226579) , (შემდეგში „რწმუნებული“) მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

რწმუნებული უფლებამოსილია მართოს მარწმუნებლის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება (შემდეგში „ნივთი“ ან „ქონება“), მდებარე: ქალაქი თბილისი, კოსმონავტების სანაპირო №39 საკადასტრო კოდი: 01.13.05.004.189 და ქალაქი თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ფერდობი №10 (ნაკვეთი 16/091) საკადასტრო კოდი: 01.10.13.016.091;

მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად რწმუნებული მარწმუნებელს წარმოადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში, მერიაში, საკრებულოში, გამგეობაში, არქიტექტურის საქალაქო სამსახურში, ეროვნულ მარეგულირებელ კომისიებში, ბუნებრივი გაზის/ელ.ენერგიის/წყლის/კომუნიკაციების ლიცენზიანტებთან, იუსტიციის სამინისტროს შესაბამის სამსახურებში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, ნებისმიერ სამინისტროში, დეპარტამენტში, სააგენტოში, სხვა სახელმწიფო და ადგილობრივ დაწესებულებაში, ადმინისტრაციულ ორგანოში.

რწმუნებულს უფლება აქვს მარწმუნებლის სახელით ხელი მოაწეროს განცხადებას, საჩივარს და შეიტანოს ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში, სხვა ნებისმიერ ორგანიზაციაში/დაწესებულებაში, მიიღოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში; მიიღოს ნებისმიერი საბუთი ამ დაწესებულებებიდან, არქივებიდან. აწარმოოს ქონების საპროექტო/სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება/შეთანხმებასთან და შესაბამისი თანხმობების/ნებართვების/მოწმობების მიღებასთან დაკავშირებული საქმეები, გასცეს/გამოითხოვოს საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ან/და ამ უფლებიდან გამომდინარე ნებისმიერი თანხმობა. განახორციელოს დაგეგმარება/გადაგეგმარება, საკომუნიკაციო ქსელებთან (ელ.ენერგია, წყალმომარაგება, ბუნებრივი გაზი, სატელეკომუნიკაციო და სხვ) მიერთება/გათიშვა. რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით წარადგინოს და მიიღოს შესაბამისი დოკუმენტები, მოაწეროს ხელი მარწმუნებლის მაგივრად, გადაიხადოს/დაიბრუნოს ბაჟი ან/და სხვა გადასახადები და შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება და ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებებით, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

რწმუნებულს უფლება არა აქვს ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებები სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს/პირებს თავისი შეხედულებისამებრ.

მინდობილობა გაცემულია სამი თვის ვადით და ძალაშია ორი ათას თვრამეტი წლის ორი მარტის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს დავით მეფარიშვილის სანოტარო არქივში;

ხელმოწერა _____

"სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების საფუძველზე გადახდილია: 10 ლარი 31.7 მუხლის საფუძველზე, 2 ლარი 39.1 მუხლის საფუძველზე, სულ გადახდილია 12 ლარი;

ნოტარიუსი დავით მეფარიშვილი